



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №11

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 27 ნოემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| დimitრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია მიძიგური     | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;                    |
| ნერიმან ცინცაძე      | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;          |
| ანზორ დევაძე         | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;                        |

- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

- ლაშა სირაზიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი პატარიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ნატალია ზოიძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

### **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი - რამაზ თურმანიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კობინაძე;

### **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მარინე ბერიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე.
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და მიულოცა სრულიად საქართველოს საპარლამენტო და ადგილობრივი უმაღლესი საბჭოს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება, თითოეულ პარტიას, მაჟორიტარს ულოცავს და უსურვებს წარმატებულ მუშაობას. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 5 სამართლებრივი აქტის პროექტი და მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ მოსაზრება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილე ბის შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი - რამაზ თურმანიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14  
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე.

საკრებულოს წევრი - რაულ თვართქილაძე - მიესალმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია კოვიდ 19 ინფექციისგან გამოწვეული პრობლემა, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში, თუმცა ამ ბოლო პერიოდში ინფექციით ბევრი ადამიანი დაავადდა და გარდაიცვალა. ის ფიქრობს, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო. თითოეული დაღუპულის ოჯახს თანაუგრძნობს და იზიარებს მათ მწუხარებას. ასევე აღნიშნა მედ-პერსონალის მიერ გაწეული გმირობის ტოლფასი საქმიანობის შესახებ.

საკრებულოს წევრი - გოჩა მგელაძე მიესალმა კოლეგებს და მიუსამძიმრა კოვიდ 19-ით გარდაცვლილ ოჯახებს. გულისტკივილი გამოხატა მედიკოსების გარდაცვალების გამო. ასევე ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს არჩილ ჩიქოვანს თხოვნით მიმართა ქალაქში გარე ვაჭრობის მოწესრიგების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2020 წლის 12 თებერვლის №01-11/48 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბათუმის ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის უკან განთავსებულია შადრევანი და 24 ერთეული ბაღის კლასიკური სკამი, რომელთაც ესაჭიროება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ითხოვს აღნიშნული ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა შადრევნით მოცული ტერიტორიის საჯარო რეეტრში N05.23.03.015 კოდით ცალკე საკადასტრო ერთულად რეგისტრაცია. მიწის ნაკვეთის ფართია 2101,0 კვ.მ., მასზე განთავსებულია N1 შენობა-ნაგებობა (შადრევნი).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 2101,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.03.015) მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით N1 (შადრევნი).

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 3. „მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხორციელდება ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) სამუშაოები. იაშვილის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩის გაფართოებისათვის საჭირო ხდება შპს „ბზ ბალავარი“-ს საკუთრებაში არსებული 340,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ალექსანდრე ჩხაიძის (ყოფილი პარიზის კომუნის) ქუჩის მომიჯნავე ნაწილის, 72,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყენება. შპს „ბზ ბალავარი“-ს მიერ განხორციელდა მის საკუთრებაში არსებული 340,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.24.105) გაყოფა და იგი დარეგისტრირდა ორ საკადასტრო ერთეულად: №05.29.24.106 - 268,0 კვ.მ. და №05.29.24.107 - ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩის გაფართოებისათვის საჭირო 72,0 კვ.მ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს „ბზ ბალავარი“-ს განცხადებები (№6762/25; 14.04.2020წ., №6835/25; 16.04.2020წ.), რომლითაც იგი ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დადიანის ქ.№1-ის მიმდებარედ არსებული 725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.29.101) შპს „ბზ ბალავარი“-სათვის ნასყიდობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემას, რის სანაცვლოდ დათმობს ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩის გაფართოებისათვის საჭირო, შპს „ბზ ბალავარი“-ს საკუთრებაში არსებულ 72,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.24.107). აღნიშნულ გარემოებას კომპანია ხსნის იმით, რომ 2017 წლის 19 ოქტომბერს გაცემული სამშენებლო ნებართვებით მას 340,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე შეეძლო აეშენებინა 2995,20 კვ.მ. ფართი, ხოლო 72,0 კვ.მ.-თ შემცირებულ მიწის ნაკვეთზე „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში 2019 წლის 03 ოქტომბრის №482 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით მას შეუძლია მხოლოდ 1200,00 კვ.მ. ფართის აშენება - 1795,2 კვ.მ.-თ ნაკლები. შპს „ბზ ბალავარი“ აღნიშნავს, რომ ახალი რეგულაციები კომპანიას ასევე ავალდებულებს სახანძრო კიბის უჯრედისა და დამატებით ლიფტის განთავსებას, რაც იწვევს ხარჯების გაზრდას და სამშენებლო ფართში სარეალიზაციო ფართის 8-10 %-თ შემცირებას. შპს „ბზ ბალავარი“ თავის განცხადებებში მიუთითებს, რომ წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას არ მოსთხოვს 2017 წლის 19 ოქტომბერს გაცემული სამშენებლო ნებართვების საფუძველზე დაწყებული სამშენებლო სამუშაოებისათვის გაწეულ ხარჯებს (წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით - სულ 58679 ლარის ოდენობით).

საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი მიჩნევს, რომ ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩის გაფართოების საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.29.101) და შპს „ბზ-ბალავარი“-ს საკუთრებაში არსებული 72,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.24.107) მონაცვლეობა შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ ბათუმში, პარიზის კომუნას ქუჩაზე რეგისტრირებული შპს „ბზ-ბალავარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445434021) საკუთრებაში არსებული 72,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.24.107) და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტ(ებ)ი (სანებართვო მოწმობა №003156 და №003157, გაცემული 19/10/2017წ.) საკუთრების უფლებით გადაეცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს;

ბ) ქალაქ ბათუმში, დადიანის ქუჩა №1-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.29.101) საკუთრების უფლებით გადაეცემა შპს „ბზ-ბალავარი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445434021);

გ) შპს „ბზ-ბალავარი“-ს ქალაქ ბათუმში, დადიანის ქუჩა №1-ს მიმდებარედ რეგისტრირებული 725,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.29.29.101) 72,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცემა უსასყიდლოდ, მის საკუთრებაში არსებული 72,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, 87,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცემა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტ(ებ)ის ღირებულების (აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის შესაბამისად 27 855 ლარი) ანაზღაურების სანაცვლოდ, ხოლო დარჩენილი 566,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელიც აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის თანახმად შეადგენს 181 120 ლარს, შპს „ბზ-ბალავარი“-ს მიერ უნდა ანაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში;

დ) შპს „ბზ-ბალავარი“ უარს იტყვის მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტ(ებ)თან დაკავშირებით და მის საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ხარჯის (გარდა არქიტექტურული პროექტ(ებ)ის ღირებულებისა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**



მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №77 განკარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25<sup>ა</sup>-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.020.01.503) 146.000,0 ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით. ქონების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდა პოზიტიური პირობით: (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - რომ მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. ფართის მონაცვლეობა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005), იმ პირობით, რომ ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შევიდეს ცვლილება განკარგულებაში და ნაცვლად იმისა, რომ ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, იგი დარჩეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ თვითონ გადაწყვიტოს მისი შპს „პიატა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხი. შესაბამისად, განკარგულების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) პოზიტიური პირობით - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. ფართის მონაცვლეობა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005), იმ პირობით, რომ დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა შპს „პიაცა ჰლდინგი“-ს მიერ აუნაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო თვითონ წყვეტს ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.№25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.28.005) შპს „პიაცა ჰლდინგი“-ზე სარგებლობაში გადაცემის საკითხს.“.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 5. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი - რამაზ თურმანიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების მიზანია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების მიღება. ცვლილება ითვალისწინებს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაუქმებას, როგორც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის. კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლევა, რომ განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:14

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

მ. ბერიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, სხდომის მდივანი